



ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ (იანვარი - დეკემბერი 2022)

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8,606.6	8,606.6	8,532.2	99.14%	2,137.2

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- **eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა** - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2022 წლისათვის; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის მომხმარებლების მხარე გაეშვა რეალურ გარემოში; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება-კონფიგურაციის მხარე გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე და გაეშვა რეალურ გარემოში; სისტემაში შემოვიდა ახალი, პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორი, რის შედეგადაც განხორციელდა ცვლილებები სისტემის შემდეგ ნაწილებში: კონფიგურაციის მოდული, წლიური ფაილები, ანგარიშგებები. შევიდა ცვლილებები რიგ ანგარიშგების დოკუმენტებში. სისტემაში დაინერგა



თანამდებობრივი სარგოების კოეფიციენტებით მართვის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც საბაზისო ხელფასის ცვლილების შედეგად იცვლება თანამდებობრივი სარგოები კოეფიციენტების მიხედვით. სისტემაში შევიდა 94 შესწორება და აღმოიფხვრა 27 ხარვეზი.

- **eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა** - მხარჯავების პორტალს დაემატა სავალუტო მოთხოვნების და ვალდებულებების ანგარიშგებები, არსებულ ვალდებულებების შესრულების ანგარიშგებაში დაემატა ინფორმაცია შესყიდვებში რეგისტრირებული ხელშეკრულების სტატუსზე. მხარჯავების პორტალის მოთხოვნების, პაკეტების და ხელფასების ფორმებზე დაემატა საინფორმაციო ველები, შეიცვალა წინა წლის ვალდებულებების იმპორტის ლოგიკა, დაიხვეწა საბილინგო სისტემებთან ინტეგრაციული სქემა. ბექ ოფისის და საფინანსო უწყებების პორტალებს დაემატა SMS კოდით ავტორიზაციის საშუალება და CPV კოდების ანგარიშგება. ბექ ოფისს დაემატა, რეპორტების გენერაციის პროცესის კონტროლის საშუალება, შეიცვალა SWIFT სისტემასთან კავშირის პროტოკოლი. სისტემაში დაემატა საბანკო ანგარიშების მფლობელის შემოწმების ფუნქციონალი და ახალი ვალიდაციები ვალდებულებების, პაკეტების, ხელფასების, დეპოზიტების, სსიპ-ის დავალებების მოდულებში, საპენსიო ფონდის მოთხოვნების დამუშავების და მობრუნებების განსაზღვრის პროცესებში. ჩარიცხვების სისტემის სერვისში დაემატა ჩარიცხვების ჩატვირთვის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდის სავალდებულო მითითებით საშუალება. რეალურ გარემოში გაეშვა ელექტრონული ხაზინის, ჩარიცხვების საძიებო სისტემის, ტენდერების საძიებო სისტემის ახალი ვერსიები.

- **eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა** - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემასა და დაკავშირებულ სისტემებში სტრუქტურულად გასწორდა საგარეო ვალის რიგი პროგრამები, პროექტები და კომპონენტები; პროექტებზე და კომპონენტებზე შესწორდა დონორები; შევიდა შესწორებები ანგარიშგების დოკუმენტებში; დაიმპორტდა ჩამორიცხვების ინფორმაცია რიგ პროექტებზე; სისტემაში შევიდა 45 შესწორება და აღმოიფხვრა 4 ხარვეზი.

- **eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა** - დასრულდა eHRMS სისტემაში არსებული პროფესიული სწავლების მოდულის ინტეგრაციის სამუშაოები Moodle სისტემასთან, ასევე მოხდა შესაბამისი საინტეგრაციო სერვისის განახლება. განხორციელდა სისტემის არსებული მოდულების განახლება და ახალი ამოცანების რეალიზება. შეფასების მოდულში განახლდა კომპონენტების კოპირების ფუნქციონალი, ასევე სრულად განახლდა შვებულების ფუნქციონალი. სისტემას დაემატა ახალი სტატიკური რეპორტები და განხორციელდა ანგარიშგების ჩანართის ოპტიმიზაცია. დასრულდა ორგანიზაციის ჭრილში მონაცემების ექსპორტის ამოცანა.

მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

- **eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა** - განისაზღვრა 2022 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

მიმდინარეობს 2021 წლის ლოგების ჯურნალების მონაცემების გასუფთავების და 2021 წლის ფაილების არქივაციის / NAS (QNAP) საცავში გატანის ანალიზი და სამუშაოების დაგეგმვა.





დასრულებულია eDocument სისტემის საჯარო სივრცის პორტალის გამართვის დაგეგმვა.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“ მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა eDocument სისტემის და Google Classroom სისტემის ინტეგრაციის მეორე ეტაპის - Google Classroom-ის სისტემაში eDocument სისტემასთან ინტეგრაციის პროცესების რეალიზაცია და დანერგვა.

დასრულებულია საქართველოს ეროვნული ბანკის eDocument სისტემის განახლება ვერსია 5.5-დან ვერსია 5.9-ზე, და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის eDocument სისტემის ვერსია 5.5-დან ვერსია 5.9-ზე განახლების დაგეგმვა.

განხორციელდა eDocument სისტემის მოდულების და ფუნქციონალური ბლოკების აღრიცხვა და შეფასება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, დასრულებულია შვებულებების გაფორმების ალტერნატიული ბიზნეს პროცესის გამართვა.

დასრულებულია 5 ორგანიზაციაში eDocument სისტემის დანერგვა, 4 ორგანიზაციის ჩართვა დოკუმენტების გადაგზავნის სერვისში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დაინერგა eDocument სისტემის 5.10 ვერსია, რომელიც მოიცავს შემდეგ ფუნქციონალს: eDocument სისტემის ლოკალიზაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა მომსახურების ოფისის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული PRIVE მომსახურების მოდულის ცვლილებები, აუდიტის ქეის მენეჯმენტის სისტემიდან შექმნილი დავალებების და საქალაქდებების eDocument სისტემაში წაშლის შეზღუდვის ფუნქციონალის რეალიზაცია, თანამშრომლის გათავისუფლების ფუნქციონალის რეფაქტორინგი, მარკირებული დოკუმენტების გენერაცია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, მიმდინარეობს eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის და Permits - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ელექტრონული სისტემის ინტეგრაცია.

- **eAuction ელექტრონული აუქციონი** - ელექტრონული აუქციონის სისტემაში განხორციელდა 53 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია.

სატესტო გარემოში დაიწყო მუშაობა და დაფიქსირდა შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

საგარანტიო თანხების გადახდების აქტივაციიდან პრობლემურში ჩავარდნილი თანხის გააქტიურების გვერდზე, დამარცხების შემთხვევაში მომხმარებელს თანხა დაუბრუნდეს პროფილში დამატებულ ანგარიშზე და არა ბალანსზე.

მომხმარებლის მთავარი გვერდიდან (eauction.ge) საძიებოში პარტნიორების ჩამონათვალში მაგ: აღსრულების ბიუროს ქვებიუროს არჩევისას იპოვოს შესაბამისი მიმდინარე ლოტები;

პარტნიორი ორგანიზაციის მართვაში ორგანიზაციის რედაქტირებისას: დასახელების, მისამართის და ა.შ. ველების შევსებისას წინადადებების და ციფრების შემდეგ ამუშავდეს ე.წ. „ჰარი ლილაკის“ ფუნქციონირება;

მომხმარებლის მთავარ გვერდზე განთავსებულ ლოტებში, გაყიდვის ტიპში გრაფა %-ით ვაჭრობა შეივსოს შესაბამისი კატეგორიით.

მიმდინარეობს აუქციონის საიტზე Paypal საგადახდო სისტემის ინტეგრაციის კვლევა.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) ხუთი პროექტი.





მხარდაჭერა, ტრენინგი, სემინარი და კონსულტაცია

მომართვათა საერთო რაოდენობა - 40858

გაწეულია 37189 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 13036, eTreasury - 22053, eHRMS - 824, სხვა სისტემები - 1276.

ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 3669 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.

eDocument სისტემაში მუშაობის სწავლება ჩაუტარდა 30 მომხმარებელს და Ehrms სისტემაში მუშაობის სწავლება ჩაუტარდა 75 მომხმარებელს

- **ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა** დაინერგა ახალი თაობის ბრენდმაუერი (PALOALTO) განხორციელდა არსებული კონფიგურაციის გადატანა და შემდგომი ოპტიმიზაცია უსაფრთხოების ზომების შესაბამისად. განხორციელდა ბრენდმაუერის ინტეგრაცია „Active Directory (AD)“-სთან, დაკონფიგურირდა ახალი თაობის ბრენდმაუერის ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციი წესები.

დაინერგა ახალი დაშვების ტურნიკეტების სისტემა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, გაიმართა ახალი სერვერები დაკონფიგურირდა კონტროლერები, დამიგრირდა მონაცემები არსებულიდან, განხორციელდა ახალი ორაკლის მონაცემთა ბაზა „Gateway“-ი ინსტალაცია, კონფიგურაცია. ინფორმაცია მიმოსვლის შესახებ დაინტეგრირდა ორაკლის მთავარ მონაცემთა ბაზაში.

განახლდა გარე მომხმარებლების ელექტრონული ფოსტის და აქტივ დირექტორიის სერვერები.

განხორციელდა ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის განახლება ასევე დისკური მასივის Dell EMC XtremIO2 სისტემის პროგრამული კოდის განახლება.

შემოსავლების სამსახურის რეგიონებში SD-WAN ტექნოლოგიით დუბლირებული კავშირის უზრუნველყოფა სათაო ოფისებთან, ახალი როუტერების ინსტალაცია კონფიგურაცია მიგრაცია.

SICPA-ს აქციზური მარკების პროექტის ფარგლებში ახალი ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა ინსტალაცია.

ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის პროგრამული განახლება.

eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

სისტემაში დღეის მგომარეობით აღრიცხულია სულ 3039 პროექტი, აქედან 327 მიმდინარე პროექტია. საიტის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია 26 შესასრულებელი დავალება.

eVIMS - ავტომატური ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

სისტემაში ავტომატური ხარჯების რაოდენობა სულ შეადგენს 1293 ერთეულ ავტომატურ ხარჯს, ავტომატური ხარჯების სისტემა მოიცავს ხელშეკრულებებს, შესრულებულ სამუშაო აქტებს, საწვავის ხარჯებს, პარკირების ხარჯებს, შშს მომსახურების სააგენტოში გაწეულ ხარჯებს, გადაზიდვის და ტექნიკური დათვალისხარჯების ხარჯებს, ავტო-საგზაო შემთხვევებს, ავტომატური ხარჯების ინვენტარიზაციას, ავტომატურ პასუხისმგებელი პირების აღრიცხვა-მართვას და სხვა.





სისტემის განვითარების მიზნით ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე ჩატარდა სამუშაოები, რომელიც შეეხება სისტემაში ფორმების გაუმჯობესებას შემდეგ წერტილებში - საბუღალტრო აკუმულატორები, ძრავის ზეთები, ხელშეკრულებები, ანგარიშები და მანქანის ბარათი. ამჟამად სისტემის ახალი ფუნციონალი გადატანილია სატესტო გარემოში და მიმდინარეობს სისტემის ტესტირება და ხარვეზების გასწორება.

ადამიანური რესურსების მართვა

საანგარიშო პერიოდში საშტატო თანამდებობაზე დაინიშნა 11 (თერთმეტი) პირი, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნა 10 (ათი) პირი..

eTRMMS - მერქნული რესურსების მართვისა და მონიტორინგის სისტემა

1. BY - „საქმიანი ეზოს“ მოდულისთვის:

- შეიქმნა საქმიანი ეზოდან გაწერილი ზედნადებების ძებნის მოდულის ტექნიკური დავალება, რეალიზდა მოდული;
- შემუშავდა ცვლილებების/ახალი მოთხოვნების პაკეტი მოდულის განვითარების მიზნით (მოიცავს 13 ცვლილებასა და 1 ახალ მოდულს). დასრულდა აღნიშნული პაკეტის რეალიზება სისტემაში;
- შეიქმნა ანგარიშგება "სპეც.დანიშნ. სარგებლობის დოკუმენტები";
- დახარისხების აქტის მოდულში შემუშავდა და რეალიზდა ახალი ვალიდაციების სისტემა;
- შეიქმნა ხე-ტყით სარგებლობის ბილეთის სტატუსის ცვლილების ფორმა;
- მიმდინარეობს ანალიტიკური სამუშაოები ახალი მოთხოვნებისა და ცვლილებების შესწავლის მიზნით.

2. ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა:

ახალ ტექნოლოგიაზე გადაიწერა მოდულები:

- ტყეკაფი;
- წარმოშობის დოკუმენტი;
- სტაბილიზაციის ფარგლებში აღმოიფხვრა 26 ბაგი;
- მიმდინარეობს ტესტირებისა და ვერსიის სტაბილიზაციის პროცესი.

3. სერვისები:

- შეიქმნა ტყეკაფის სერვისი ტყეკაფის ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- შეიქმნა შემოსავლების სამსახურის ხე-ტყის აღრიცხვის პროექტისათვის (ზედნადები) სერვისის პროტოკოლი;
- მიმდინარეობს აღნიშნული სერვისის კოდინგის სამუშაოები.





EIA (PERMITS) - გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა

- შეიქმნა EIA გარემოსდაცვითი შეფასების სისტემისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eDocument-ის ინტეგრაციის ტექნიკური დავალება;
- შეიქმნა შესაბამისი სერვისი;
- მიმდინარეობს შესაბამისი ცვლილებების შეტანა დოკუმენტრუნვისა და გარემოსდაცვითი შეფასების სისტემებში;
- გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის და პორტალის განვითარებისთვის შემუშავდა და განხორციელდა 12 ცვლილება. სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირდა და აღმოიფხვრა 4 ბაგი;
- დასრულდა ანალიტიკური სამუშაოები ვადების კონტროლის მოდულის ტექნიკური დავალების შესაქმნელად. შემუშავდა ტექნიკური დავალების დოკუმენტები: ვადების სქემები პროცედურების მიხედვით და შეტყობინების შაბლონები. მიმდინარეობს ლოგიკური დიზაინის შექმნა;
- შეიქმნა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მოდულის (საჯარო განხილვების) ტექნიკური დავალება.

eRMS - მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა

1. მხარდაჭერის და განვითარების კუთხით 20 მოთხოვნა რეალიზდა და აისახა სისტემაში;
2. სისტემისთვის შეიქმნა ჟონვის შემოწმების აქტის მოდული და 3 ანგარიშგება. სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირდა და აღმოიფხვრა 13 ბაგი;
3. შეიქმნა სსიპ შემოსავლების სამსახურის სისტემასთან მონაცემთა გაცვლის მიზნით სერვისი;
4. შემუშავდა ცვლილებების პაკეტი და რეალიზდა სისტემაში ანგარიშგებების მოდულის განვითარების მიზნით.

Inspection - ინსპექტირების მართვის სისტემა

1. შეიქმნა ინსპექტირების მართვის სისტემა:
 - შეიქმნა 7 ახალი კლასიფიკატორი;
 - შეიქმნა მოდულები: ინსპექტირებები, ოქმები/აქტები, მომართვები.
2. მიმდინარეობს მოდულების ტესტირება და ვერსიის სტაბილიზაცია.

eFisher - თევზჭერის მართვის და მონიტორინგის სისტემა

1. შემუშავდა ტექნიკური დავალება სისტემაში ადგილობრივი თევზსაჭერი გემების ჩართვის და მათთვის ელექტრონული სარეწაო ჟურნალის შემოღების მიზნით; სისტემაში ჩაერთო ადგილობრივი თევზსაჭერი გემები;
2. ამ მიზნით სისტემაში რეალიზდა 23 ცვლილება და 2 ახალი მოდული;



3. სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირდა და აღმოიფხვრა 46 ბაგი;

FIMS - ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი მართვის გეგმის სისტემა:

1. სისტემის განვითარების და ცვლილების შესახებ მიღებული და რეალიზებული იქნა 56 მოთხოვნა;
2. სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირდა და აღმოიფხვრა 143 ბაგი;
3. შეიქმნა 69 ანგარიშგება.

eAir - სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა:

346 ობიექტმა წარმოადგინა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშგება 2022 წლისთვის.

eWater - წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა:

- 51 ბიექტმა წარმოადგინა წყალსარგებლობის წლიური ანგარიშგება 2022 წლისთვის;
- შეიქმნა წყალსარგებლობის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა (ანგარიშგება) სისტემაში.

მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში:

- სულ მიღებული და დამუშავებულია: 532 Issue;
- სულ მიღებული და აღმოფხვრილია: 75 Hotfix.

EGMC

საანგარიშო პერიოდში:

- სულ მიღებული და დამუშავებულია: 7 Issue;
- სულ მიღებული და აღმოფხვრილია: 7 Hotfix;
- eGMC და ePassport (eGMC ინსტანსის) სისტემების ადმინისტრატორის მოსამზადებლად ჩატარდა 2 ტრენინგი, მომზადდა შესაბამისი სასწავლო მასალა ტუტორიალებისა და პრეზენტაციების სახით.

ვებგვერდი, პორტალი

ანგარიშგების მართვის სისტემა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის <https://rms.reportal.ge>





2022 წლის პირველი ნახევარში, ისევე როგორც წინა წლებში ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებდა ანგარიშგების მართვის სისტემის ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას სისტემის მომხარებლების ტექნიკური მხარდაჭერას. ასევე უწევდა კონსულტაციებს სისტემის მომხმარებლებს ელ. ფოსტით info@reportal.ge.

დაემატა ახალი ფუნქციონალი: თანხმობის ჩეკბოქსი სსიპზე „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებით.

განხორციელდა აღსრულების ბიუროს სერვისის ინტეგრაცია. ახალი ფუნქციონალის საშუალებით შესაძლებელია:

სააღსრულებლო ფურცლის გენერაცია;

სააღსრულებლო ფურცლის გადაგზავნა სერვისის საშუალებით აღსრულების ბიუროში;

აღსრულების მიმდინარე სტატუსის შემოწმება;

სააღსრულებლო ფურცლის დაბრუნება (გაუქმება);

გასაჯაროებული ანგარიშგების სტატუსის ცვლილება მართვის პანელიდან;

ვადაგადაცილებული ბრძანებებისთვის შემდეგი ეტაპის ბრძანების გენერაცია;

განახლდა საწარმოს კატეგორიის გამოთვლის ალგორითმი და ეროვნული ბანკის მართვის პანელის ფუნქციონალი.

ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ~20000 ბრძანების ავტომატური გენერაციისა და ხელმოწერისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მომხმარებლებთან მიმოწერის სისტემა (SARAS MS)

სისტემის საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ ავტომატურ ან მიმოწერის რეჟიმში მიიღონ პასუხი სამსახურიდან მათთვის საინტერესო საკითხებზე. სისტემას აქვს მართვის პანელი, სადაც აისახება მომხმარებლის მიერ თემების მიხედვით დასმული კითხვები და სამსახურის თანამშრომლების მიერ გაცემული პასუხები.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს მომხმარებლებთან მიმოწერის სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას.

2022 წლის დასაწყისიდან სისტემაში შემოსულია 7500 -ზე მეტი წერილი.

ანგარიშგების პორტალი <http://reportal.ge/>

ანგარიშგების პორტალს დაემატა ვიდეო ვიდეო ბლოგი, რომელიც შინაარსობრივად დაყოფილია სამ ნაწილად:

ვიდეოინსტრუქციები

ხშირად დასმული კითხვები

საინფორმაციო ვიდეოები

<https://reportal.ge/ka/videoblog>





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემა

<https://mobility.tsu.ge> <https://mobility.tsu.ge/admin> <https://mobility.tsu.ge/eval>

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას.

2022 წლის სამი კვარტლის განმავლობაში სისტემაში დარეგისტრირდა 1311 ახალი მომხმარებელი, გამოცხადდა 143 კონკურსი, რომლებზეც ჯამურად დარეგისტრირდა 13250-ზე მეტი აპლიკანტი.

განახლდა სტატისტიკური მოდული;

თსუ-ს მოთხოვნით განხორციელდა კოვიდ 19-თან დაკავშირებული ფუნქციონალის ამოღება.

მუდმივად ხორციელდება სისტემის მომხმარებელთა კონსულტირება/ტექ. დახმარება ტექ მხარდაჭერის ელ. ფოსტის საშუალებით.

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროცესების ავტომატიზაციის სისტემა MACADPAS

<https://e.mofacademy.ge/>

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა ცოდნის განვითარებასა და პროფესიული უნარების განმტკიცებას, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობების გაზრდას.

უკანასკნელ პერიოდში სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საქმიანობა უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი გახდა სწავლების დისტანციურ მეთოდზე გადასვლის გამო. აკადემიის მიერ წინა წლის მონაცემებით განხორციელდა მინიმუმ 280 კურსი და 50 ტესტირება, 7300 მსმენელის გადამზადება. თითოეული მსმენელის და კონკურსანტის მონაცემები, ასევე შესრულებული კურსების შესახებ ინფორმაცია შენახული და დაცული უნდა იქნას მონაცემთა ბაზაში შემდგომი გამოყენებისთვის - მონაცემების დამუშავება, რეპორტირება, მებნა და გაფილტვრა სხვადასხვა პარამეტრებს მიხედვით. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიზნების მიღწევისთვის, რაც გულისხმობს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების გაძლიერებას და სხვა სახელმწიფო უწყებების საგანმანათლებლო და კონკურსების მიმართულების მომსახურების გაწევას, გადაწყდა სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო-საგანმანათლებლო, კონკურსების (ტესტირების) წარმოებისა და ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის სისტემის (MACADPAS) შექმნა, რომლის საშუალებით მოხდება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ერთი სისტემის ფარგლებში ავტომატიზაცია.

სისტემა შედგება სასწავლო კურსების, ონლაინ კურსების, ტესტების შესაქმნელი, ორგანიზაციების და მართვის პანელის მოდულებისგან.

მართვის პანელში გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციონალი:

- ✓ კურსების გრაფიკის გენერატორი;





- ✓ მსმენელის რეგისტრაცია ანგარიშის ავტომატური აქტივაციით ან მსმენელის მიერ აქტივაციით (აქტივაციის ვარიანტს ირჩევს აკადემიის კოორდინატორი);
- ✓ მსმენელის რეგისტრაციის გვერდი;
- ✓ პერსონალური მონაცემების გვერდი;
- ✓ პაროლის შეცვლის გვერდი;
- ✓ დასწრების აღრიცხვა;
- ✓ სერტიფიკატების გენერაცია;
- ✓ რეპორტების გენერაცია/ჩამოტვირთვა;
- ✓ ხელშეკრულების გენერაცია;
- ✓ შეთანხმების გენერაცია;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტის გენერაცია.

მართვის პანელის მომხმარებლებისათვის ფუნქციონირებს როლების სისტემა, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული მომხმარებლის წვდომას მისთვის საჭირო ფუნქციონალზე და მონაცემებზე. ეს როლებია:

- ადმინისტრატორი;
- კურსის კოორდინატორი;
- ტრენერი;
- დამთვალეიერებელი;
- სამსახურის უფროსი;
- ფინანსისტი;
- ადმინისტრაციის უფროსი;
- იურისტი;
- ტესტირების კოორდინატორი.

გარდა ამ როლებისა, სისტემაში არსებობს ასევე მსმენელის როლი, რომლის მფლობელსაც ავთენტიფიკაციის გავლა შეუძლია მხოლოდ მსმენელის გვერდზე.

სასწავლო-საგანმანათლებლო, კონკურსების (ტესტირების) წარმოებისა და ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის სისტემა გაეშვა 30 სექტემბერს.

განხორციელდა განახლება:

- მართვის პანელში ონლაინ კურსში დამატებითი მასალის ატვირთვის ფუნქციონალი და მსმენელის გვერდზე იგივე მასალის ნახვის და ჩამოტვირთვის ფუნქციონალი;
- მსმენელის გვერდზე ტესტირების დასრულების შემდეგ კითხვების და სწორი პასუხების ნახვის შესაძლებლობა

მუდმივად ხორციელდება სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა და ფუნქციონალის განახლება.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სააპლიკაციო სისტემა





<https://app.iec.gov.ge/> <https://app.iec.gov.ge/admin> <https://app.iec.gov.ge/eval>

განახლდა სააპლიკაციო სისტემის ფუნქციონალი, კერძოდ დაემატა:

- განცხადებების ჩანართში აპლიკანტების მიერ ატვირთული ან წაშლილი დოკუმენტებისათვის ლოგირების (ნოტიფიკაციები) სისტემა მართვის პანელში;
- აპლიკანტების მოქალაქეობის ჩამოსაშლელი სია აპლიკანტების აპლიკაციაში და მართვის პანელის ფილტრებში;
- მართვის პანელში: განათლების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლის თანხმობა კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

ცენტრის მოთხოვნით განხორციელდა აპლიკაციის რედაქტირებასთან დაკავშირებული ფუნქციონალის ამოღება.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს სააპლიკაციო სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას კონკურსების პერიოდში.

სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ვებგვერდი <http://creativegeorgia.ge/>

ვებგვერდი შეიქმნა საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში შექმნილ CMS -ში, გამოყენებულ იქნა არსებული დიზაინი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის ვებგვერდი <http://treasury.ge/>

ვებგვერდი შეიქმნა საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში შექმნილ CMS -ში ახალი დიზაინის მიხედვით.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ვებგვერდის მუდმივ ტექნიკურ მხარდაჭერას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი

შეიქმნა მთავარი და შიდა გვერდის დიზაინი, სულ 22 გვერდი. მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილი შიდა გვერდების დიზაინის შექმნაზე.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის მუდმივ ტექნიკურ მხარდაჭერას.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ვებგვერდი <http://genex.ge/>

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ვებგვერდისათვის შეიქმნა:

- სიახლეების გამოწერის მოდული;
- დოკუმენტების რეესტრი;
- სავაჭრო წარმომადგენლების რეესტრი;
- შეტყობინებების მართვის სისტემა;





ბაზრის მონაცემების ინტერაქტიური დიაგრამები: ბაზრის შედეგები, ფასის ცვალებადობა, მრუდები.

ჰარმონიზაციის ცენტრის ვებგვერდი <https://pifc.gov.ge/>

შეიქმნა ჰარმონიზაციის ცენტრის ახალი ვებგვერდი. ჰარმონიზაციის ცენტრის მოთხოვნით განხორციელდა ვებ დიზაინში გამოყენებული ძირითადი ფერის ცვლილება დიზაინის ყველა ელემენტზე.

დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი

შეიქმნა დავების საბჭოს ახალი ვებგვერდის მთავარი გვერდის და რამდენიმე შიდა გვერდის დიზაინი, მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილი შიდა გვერდების დიზაინზე.

CDMS - კონფიდენციალური დოკუმენტების მართვის სისტემა ეროვნული ბანკისთვის

შეიქმნა 119 გვერდის დიზაინი.

eFUS პროგნოზების ატვირთვის სისტემა

შეიქმნა 52 გვერდის დიზაინი.

შეიქმნა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საშვის ახალი დიზაინი.

